

შტეტან მაიერი: "საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შეჩერების რისკი დღის წესრიგში არ დგას"



გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, შტეტან მაიერის თქმით, გერმანიის მხრიდან საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შეჩერების რისკი დღის წესრიგში არ დგას. მაიერმა ამის

შესახებ ქართულ-გერმანულ სტრატეგიულ ფორუმზე თქვა.

მაიერმა კმაყოფილება გამოხატა საქართველოს მთავრობის მცისიერ რეაგირებაზე, როდესაც 2017 წლის ბოლოს საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის მკვეთრი მატება დაფიქსირდა.

2018 წლის იანვრიდან გერმანიაში ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა მკვეთრი კლება ფიქსირდება. ამავდროულად წლის მაისის თვის მონაცემები სავიზო რეჟიმის დროს არსებულ მონაცემს უტოვდება, ხოლო სხვადასხვა ფედერალურ მიწებზე ქართველთა მიერ ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკაც 30-50%-ით არის შემცირებული.

შტეტან მაიერმა განაცხადა, რომ საქართველოსთან სამართადაცვით სფეროში თანამშრომლობა არის სანიმუშო. მან აღნიშნა, გერმანიის მხრიდან საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შეჩერების რისკი დღის წესრიგში არ დგას და სამომავლო პერსპექტივაშიც პოზიტიური მოლოდინი არსებობს.

ქართულ-გერმანული სტრატეგიული ფორუმი კონრად ადენაუერის ფონდის ორგანიზებით, ყოველწლიურად იმართება. ღონისძიება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქარაქ ბერლინში გაიმართა. ფორუმის

ფარგდებში, ერთ-ერთი დისკუსია ევროკავშირთან საქართველოს უვიზო რეჟიმს, კერძოდ, ამ კუთხით გერმანიაში არსებულ მდგომარეობას მიეძღვნა.